

საქართველოს კანონი
„გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“
საქართველოს კანონში
ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1.

„გეოლოგიური საქმიანობის ლიცენზიის გაცემის შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №14, 3.06.2003, მუხ.97) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) განცხადებაში მითითებული სპეციალისტების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომი, შრომის წიგნაკიდან ამონაწერი ან შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი) ასლი.“

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი